თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6611584

ნომერი: AR1983691

თარიღი : 10.08.2023

გაცემის თარიღი : 14.08.2023

გაცნობის თარიღი : 14.08.2023

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანის I მ/რ, , კორპუსი N16-ის მიმდებარედ.;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კარლო მშვიდობაძე პ/ნ 62001038592
- სოხუმი ძიძარიას ქ. N 18

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ბანკომატის განთავსება
  რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საპროექტო ფართი ფიქსირდება მშენებარედ, შესაბამისად თუ შენობა არ არის მიღებული ობიექტი მიღებული სამსახური დაგეგმილი სამუშაოებით რეკონსტრუქციას ვერ განიხილავს I კლასად.
სამსახური I კლასის რეკონსტრუქციის კუთხით იმსჯელებს მხოლოდ ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ.
აღნიშნული დოკუმენტის არსებობის შემთხვევაში წარმოადგინეთ შენობა ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღება ჩაბარების აქტი
და გაითვალისწინეთ :სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია მსგავსი სახით, მონიშნულ არეალში, ბანკომატის განთავსება, შესაძლებელია მისი განთავსება არსებული არსებულ კარის ღიობის გვერდით ვიტრაჟის ნაწილში (ექსპლუატაციაში მიღების შეთხვევაში).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით , თუ შენობა მიღებულია ექსპლუატაციაში, წარმოსადგენი გექნებათ ბანკომატის განთავსების ალტერნატიული ვერსია, რომელიც აისახება პანორამულ ფოტოსურათზეც და წარმოსადგენი გექნებათ ქვეიჯარის ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირების უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ასევე საპროექტო ფართის მესაკუთრის მიერ გაცემული თანხმობა განსახორციელებელ სამუშაოებზე.

დაზუსტებული ინფორმაცია დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენის თაობაზე (საჭიროების შემთხვევაში) სამსახურის მიერ გეცნობებათ მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ კანონით განსაზღვრულ ვადაში .

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.